XXXV სტუდენტური კლაუზურა - კონკურსი ქალღალდის არქიტექტურაში

თემა: „დროებითი საცხოვრისი იძულებით გადაადგილებულთათვის“

კონკურსი - კლაუზურა ეძღვნება არქიტექტორ შოთა ბოსტანასვილის ხსოვნას

2017 წლის 25 ნოემბერს საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა XXXV სტუდენტური კლაუზურა - კონკურსი ქალღალდის არქიტექტურაში. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სტუ - ს და ტბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექურის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

28 ნოემბერს 15 საათზე სესდგება კონკურსის შედეგების გამოცხადდება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

XXXV სტუდენტური კლაუზურა-კონკურსი
ქაღალდის არქიტექტურაში

თემა: „დროებითი საცხოვრისი„
იძულებით გადაადგილებულთათვის

*ეძღვნება არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილის ხსოვნას*

***თემა:*** “ქაღალდის არქიტექტურა” განეკუთვნება არქიტექტურული ფანტაზიის სფეროს. მოთხოვნილია არა რეალიზაციის სიმარტივე, არამედ მხატვრული მუხტი, ორიგინალობა, ემოციურობა.

***მიძღვნა:*** პროფესორი შოთა ბოსტანაშვილი – გამოჩენილი არქიტექტორი, პედაგოგი, მკლევარი, ესეისტი, “არქიტექტურული პოეტიკის” სტუდიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

***პრობლემა:*** XX-XXI საუკუნის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა ადამიანების, ოჯახების, სოფლების, ქალაქების ომებით, რევოლუციებით, ასევე ეკოლოგიური კატასტროფებით გამოწვეული მიგრაცია. “დროებითი საცხოვრისი” (ბანაკი) შედგება 80-100 ადამიანისგან, რომელთა შორის არიან ყველა ასაკის და სქესის ინდივიდები და ოჯახები.

***შეფასების კრიტერიუმი:*** საკონკურსო პროექტების შეფასების კრიტერიუმებია: დროებითობის (არაკაპიტალობის) შეგრძნება, სტიქიურობა, რომელიც გამოწვეულია თავად იძულებით გადაადგილებულთა აქტიური მონაწილეობით “თავშესაფარის” უმოკლეს დროში მოწყობის სურვილით.



- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტების, ასევე სხვა არქიტექტურული სასწავლებლების სტუდენტებს.
- კლაუზურა-კონკურსი ჩატარდება 2017 წლის 25 ნოემბერს, შაბათს, დილის 10.00 საათიდან 16.00 საათამდე სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის საპროექტო სახელოსნოებში (სტუ-ს I კორპუსი, C ბლოკი). 27 ნოემბერს (ორშაბათი) სტუ-ს საგამოფენო დარბაზ “უნივერსში” (მ. კოსტავას ქ. 68) გაიხსნება გამოფენა. დათვალიერება დილის 12.00 საათიდან 18.00 საათამდე.
- 28 ნოემბერს (სამშაბათი), 15.00 საათზე შესდგება კონკურსის შედეგების გამოცხადდება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.
- 24 ნოემბერს (პარასკევი) 16.00 საათზე, პროფ. ვ.დავითაია ჩაატარებს საუბარს თემაზე: “ქაღალდის არქიტექტურა”. ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.
- ჟიური: სამი წარმომადგენელი არქიტექტორთა კავშირიდან, სამ-სამი წარმომადგენელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიიდან.
- **დაწესებულია პრემიები: ორი პირველი პრემია – 250-250 ლარი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, ორი მეორე პრემია – 200-200 ლარი, ორი მესამე პრემია – 150-150 ლარი, 6 წამახალისებელი პრემია – არქიტექტურული წიგნები. ყველა გამარჯვებული დაჯილდოვდება დიპლომებით.**
- **დაწესებულია პროფესორ შოთა ბოსტანაშვილის სახსელობის ორი პრემია, რომელსაც მიანიჭებს ოჯახი საკუთარი არჩევანის მიხედვით.**
- **საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ერთ-ერთ ნამუშევარს მიანიჭებს „გრან-პრის“.**

*კონკურსის კოორდინატორი: პროფ. ვ. დავითაია, 577 73 42 57;*
*მდივნები: ბ. თინიკაშვილი, ტ. ნაცვლიშვილი*









